საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №163/04
2022 წლის 17 ნოემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს ტერიტორიაზე საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ბაზაში ინფორმაციის აღრიცხვის და ხელმისაწვდომობის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 აგვისტოს №195/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს ტერიტორიაზე საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ბაზაში ინფორმაციის აღრიცხვის და ხელმისაწვდომობის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 აგვისტოს №195/04 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 29/08/2018, ს/კ: 220020000.18.011.016334) დამტკიცებული წესის მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-17 პუნქტი:

„17. ბიურო უფლებამოსილია იყოს სახელმწიფო უწყებებსა და სესხის გამცემ ორგანიზაციებს შორის შუამავალი იმ ტიპის ინფორმაციის გაზიარებისთვის, რომელიც საჭიროა პირის გადახდისუნარიანობის ანალიზისათვის. ინფორმაცია მათ შორის შეიძლება მოიცავდეს სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ადმინისტრირებად სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან კანონმდებლობითა და ხელშეკრულებით დადგენილი წესით მისაღებ ინფორმაციას.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი **კობა გვენეტაძე**